სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/53

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი 2023

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის
ბიუჯეტის შუალედური ფინანსური ანგარიშის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2023 წლის 27 ივლისის №0000936788 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 23 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შუალედური ფინანსური ანგარიში;
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (კანცლერი) მკვეთრად გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ბიუჯეტის შესრულებაზე. ფაკულტეტების მენეჯერებთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს წლიური ბიუჯეტის შესრულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**